ქანთრის სტილი – შვეიცარიული შალე



II კურსის მაგისტრანტი: ივანე გიუაშვილი
ხელმძღვანელი: ნინო ხაბეიშვილი

თბილისი 2012

ქანთრის სტილი – შვეიცარული შალე

მეგაპოლისის აგრესიით დაღლილი ქალაქის მკვიდრი, დღეს ინტუიციურად იცავს თავს თანამედროვე ფორმების და ხაზების ზეწოლისგან. ხშირად, უპირატესობას ანიჭებს ქალაქგარე საცხოვრებლის სასიამოვნო რომანტიკას. ისე, როგორც არასდროს აფასებს მშვიდ, უბრალო სოფლურ წყობას, შვებას პოულობს ბუნებაში. განურჩევლად ნაციონალობისა და კეთილდღეობისა ირჩევს ქალაქური ფუსფუსის და არასტაბილურობის ანტიპოდს - ქანთრის სტილს. მსოფლიო აღიარება ქანთრიმ, როგორც ინტერიერის დიზაინის სტილმა XX საუკუნის ბოლოს მოიპოვა. ინგლისურ სიტყვას Country-ს აქვს ორი მნიშვნელობა: ქვეყანა და სოფელი. ალბათ, სწორედ ეს განსაზღვრავს ამ სტილის თავისებურებას: წარმოაჩინოს სხვადასხვა ქვეყნის კოლორიტი და სოფლის სახლის თემა ინტერიერში.

ძველად სახლი ლამაზი ბუნებით გარშემორტყმულ ფერწერულ ნაგებობას წარმოადგენდა. თვით ბუნება კარნახობდა შიგა სივრცის ორგანიზებას და მოწყობას. ხის ან აგურის ტიხრებით დაყოფილი, თითქოს უწესრიგოდ განლაგებული სათავსები, როგორც ტყეში მდელოები, ერთიდან მეორეში გადადიოდნენ და იკვრებოდნენ. ეს მოტივი გასდევს ქანთრის კომფორტულობით და ფუნქციურობით დატვირთულ სტილისტიკას. მომხიბლავი და უშუალო, მოკლებულია ღრმა ჩანაფიქრს, უშვებს მხატვრულ არეულობას, შემთხვევითობას, ქმნის სადა, მყუდრო, კომფორტულ გარემოს და დღემდე ინარჩუნებს მთავარ ღირსებას: ლირიულობას, ბუნებასთან სიახლოვეს, სირბილეს და სითბოს.

ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სტილი წარმოდგენილია სხვადასხვა ვარიაციის ფართო დიაპაზონით: ინგლისური, სკანდინავიური, გერმანული, სლავური, ფრანგული, იტალიური, ამერიკული ქანთრი, შვეიცარიული და სხვა.

შვეიცარული ქანთრი ე.წ. შალე - სუნთქავს ლეგენდის და სიძველის ხიბლით. შალე Chalet - წარმოადგენს სახლს მთაში, აგებულს მასიური ქვისა და ხისგან. იგი შორეულ წარსულში ასრულებდა დროებითი თავშესაფარის ფუნქციას მწყემსებისა და მათი პირუტყვისთვის ალპებში. სიტყვა შალე “chalet” წარმოიშვა შვეიცარიის არპიტანულ ენაზე მოლაპარაკე ნაწილიდან და სავოიიდან (ისტორიული რეგიონი საფრანგეთში) და თავდაპირველად ნიშნავდა მწყემსის ქოხს.

კვებეკის (Quebec) საფრანგეთის ნაწილში, ნებისმიერ საზაფხულო ან ზაფხულში დასასვენებლად განკუთვნილ საცხოვრებელ სახლს, განსაკუთრებით სათხილამურო მთებთან ახლოს, ეწოდებოდა “chalet”, მიუხედავად იმისა, იყო აშენებული შვეიცარული შალეს სტილში თუ არა.

ბევრი შალე ალპების ევროპულ ნაწილში თავდაპირველად გამოიყენებოდა, როგორც სეზონური ფერმა რძის მწარმოებელი პირუტყვისათვის. ალპური ზამთრის დაწყებასთან ერთად, შალეები იხურებოდნენ და არ გამოიყენებოდნენ მომავალი სეზონის დადგომამდე.

ბევრი მათგანი წააგავდა უფანჯრო ქოხს, რომელსაც ეწოდებოდა "mazolts" და გააჩნდა ნივთების შესანახი სათავსოს ფუნქცია.

ქოხების მშენებლობის დროს გამოიყენებოდა ქვის და ხის ადგილობრივი ბუნებრივი მასალა, ხოლო გალესილი კედლების შესათეთრებლად კირი. მაღალ სართულს ყოველთვის ქვისგან აღმართავდნენ. ეს აიხსნება, იმით, რომ რთული, მთიანი რელიეფის პირობებში, ქვა ერთ–ერთი პრიორიტეტული მასალაა საძირკვლის და კედლების მშენებლობაში. გარდა ამისა, ქვა მტკიცედ იცავს სახლს სიცივის, თოვლისა და ტენიანობისგან. პირველი სართული და სხვენი, როგორც წესი, შენდებოდა მასიური წიწვოვანი ხეების რბილი მერქნისგან (ფიჭვი, ფოთლოვანი ხე), რომელიც დროთა განმავლობაში, გარემოს ზემოქმედების ქვეშ (ქარი, თოვლი, წვიმა, მზე, სიცივეები), ბუნებრივი გზით მუქდებოდა და იფარებოდა ფისით. ვერტიკალურ კედლებზე მკვეთრად გადმოსული თხელი ხის ფირფიტებით გადახურული, დამრეცი სახურავი და ფართო კარნიზები (eaves) იცავდა სახლს უამინდობისგან. ქარისგან დასაცავად, ხშირად სახურავზე ზემოდან აწყობდნენ ქვებს. უკანასკნელი სართული იყო აუცილებლად მანსარდული, დაქანებული ჭერით.

დიდი ტერასების არსებობა ეფექტურად ზრდიდა ნაგებობის ფართს. გადმოკიდებული სახურავების ქვეშ არსებული აივნები სრულდებოდა საკმაოდ მარტივი ორნამენტებით, განზრახ უხეშით ან პირიქით, საგულდაგულოდ შემკული ხეზე კვეთით (ჩუქურთმებით). ხშირად ფასადების მორთვა ხდებოდა წარწერებით, ლოზუნგებით ან მახვილგონივრული გამონათქვამებით. ძირითადი დარბაზის ან მისაღების ცენტრალური, დომინანტური ადგილი ყოველთვის ეთმობოდა ბუხარს. საცხოვრისის და მასში მცხოვრებთა ბოროტი სულებისაგან დასაცავად შესასვლელ კარზე კიდებდნენ მთის ყვავილებისა და ბალახებისგან მოწნულ გვირგვინს.

დროთა განმავლობაში შალე იცვლებოდა, იძენდა მეტად თანამედროვე იერსახეს. საუკუნეების მანძილზე დახვეწილმა, „შალეს" ტრადიციულმა სტილმა მოაღწია ჩვენამდე და დღეს, მისი მშენებლობა გახდა ძალიან პოპულარული, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში. ამის მიზეზი ორი ფაქტორია: ევროპელებსა და ამერიკელებს შორის ალპური სათხილამურო კურორტების მზარდი აღიარება და ადამიანის სურვილი იყოს უფრო ახლოს ბუნებასთან. ცივილიზაცია ხშირად „უსიცოცხლო" იერს სძენს საცხოვრებელ ფართს, მაგრამ შალეს ატმოსფერო -

ყოველთვის ცოცხალი და რეალურია. ალბათ ამიტომაც არის, რომ დიზაინერებს შალეს სტილის ელემენტები შეყავთ, როგორც ქალაქის ბინებში, ასევე ყველაზე თანამედროვე საგარეუბნო სახლებშიც. ინტერესი ალპური სტილისადმი აიხსნება ადამიანის სურვილით – იცხოვროს არა მხოლოდ პრესტიჟულ და ძვირადღირებულ სახლში, არამედ შეიქმნას ისეთი საცხოვრებელი გარემო, რომელიც დააკმაყოფილებს მის გენეტიკურ მეხსიერებას, დაიცვას მკაცრი, არაპროგნოზირებადი კლიმატისგან.

თუ გასულ საუკუნეებში შალეს პირველ სართულზე ინახებოდა სასოფლო–სამეურნეო ტექნიკა და პროდუქცია. დღეს, როგორც წესი, აქ აწყობენ სამზარეულოებს და სასტუროო ოთახებს, ხოლო მეორე სართულზე ანთავსებენ საძინებელებსა და სველ წერტილებს. შალეს სტილის სახლები სულ უფრო ნაკლებად გვაგონებს უბადრუკ ქოხებს, ამ მიმზიდველმა „მთის“ სახლმა შეიძინა მეტი სოლიდურობა, თუმცა ძირითადი კონსტრუქციული და დიზაინური თავისებურებანი ეხლაც დაცულია. ამ საიმედო და პრაქტიკულ საცხოვრებელში, ყოველი კონსტრუქციული დეტალი პირველ რიგში ფუნქციურია.

შალეს უბრალო ფასადები მალავენ კარგად ორგანიზებულ შიდა სივრცეს, მოფიქრებული დაგეგმარებით. აქ ყველაფრიდან: ხის კედლებიდან, ჭერის გიგანტური მორებიდან, მასიური კარებებიდან – გამოსჭვივის ანტიკურობა. მერქანი სუფევს აქ განუყოფლად. მერქანი აქ უზენაესია. მასთან ჰარმონიაშია ქვის ფილებით აგებული შალეში შესასვლელი ან მთელი კედელი. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად შეუცვლელი დარჩა შალეს ინტერიერის ტრადიციული მახასიათებელი სტილის ნიშანი – შიდა სივრცის ორგანიზაცია ისე, რომ უამრავი ადამიანის მიღების დროსაც კი არ ჩნდება სივიწროვისა და დისკომფორტის შეგრძნება. შალეს სტილი ინტერიერში გვთავაზობს გარკვეულ ასკეტიზმს, თუმცა ამგვარი "ასკეტიზმის", უფლება შეუძლია მისცეს თავისთავს მხოლოდ საკმაოდ შემლებულმა ადამიანმა. აქ ხომ ინტერიერი იქმნება მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი მასალების გამოყენებით. კავშირი ხის, ბუნებრივი ქვის და თიხის - ალპური შალეს სიძლიერის უძველესი საიდუმლოა.

შალე - ინახავს ოჯახის წეს–ჩვეულებებსა და ტრადიციებს. შვეიცარული ქანთრი - სუნთქავს ლეგენდის და სიძველის ხიბლით. წამყვანი მასალა ინტერიერში თბილი ტონის, მუქი ფერის ხეა, რომელიც ყველგანაა - იატაკზე, კედლებზე, ბუხრის მოპირკეთებაში. ნიშანდობლივია რბილი, კამერული განათება, განსაკუთრებით განათების ბუნებრივი წყარო - სანთელი და ცეცხლის ალი ბუხარში. ალპური შალე ცნობადია თბილი და მსუყე ფერის (აგურისფერი, ყავისფერი, ბორდო, ოხრა) ტონებით, ჭრელი ტექსტილით, კედლებზე კერამიკული თეფშებით, ძველი

ფოტოებით, ჭურჭლის შეკიდული თაროებით, პეიზაჟის და მთის სიუჟეტის ნახატებით, ოჯახური რელიქვიებით. ასეთი ინტერიერი თითქოს იზოლირებულია გარე სამყაროდან, სადღაც შორსაა, დაკარგულია მთის ხეობაში.

ეს ეკოლოგიური დიზაინი, ყველა გამოვლინებაში ატარებს დადებით მუხტს, ქმნის მყუდრო, კომფორტულ გარემოს, ფეხს უწყობს დროს, გვაძლევს შანსს შევინახოთ წარსულის შეუფასებელი ძღვენი, სათუთად გამოვიყენოთ ყოველდღიურ ყოფაში და ვიცხოვროთ მასთან ერთად.